ოქმი:**ო02. 3726271001**

თარიღი:**28/09/2026**

ოქმი №19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 25 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

15:00 - საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები:მ. ჩხიკვიშვილი,ქ.კვაჭანტირაძე, ნ. გობრონიძე, ნ. ურუშაძე, ტ. აროშიძე, დ. ხურციძე, დ. კიკვაძე, ნ.ჭანიშვილი, მ.ცქვიტიშვილი, ზ.სალუქვაძე, ზ.მორჩილაძე, ე.გორდელაძე, ლ.ქვილორია.
მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი თ.ჩავლეშვილი და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ხ.სურგულაძე
სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ლაითურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს.კ 26.25.12.090) სააგარაკე-საცხოვრებლის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე”

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი - ვრცლად მასზე ისაუბრეს მერიის წარმომადგენლებმა, ხ. სურგულაძემ და თ. ჩავლეშვილმა. მომხსენებლებმა აღნიშნეს,რომ პროექტი მიზნად ისახავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სააგარაკე - საცხოვრებლის მშენებლობისთვის დეტალური გეგმის შემუშავებას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

აღნიშნული საკითხი განხილვა - დამტკიცების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

